ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №7
2018 წლის 12 იანვარი

ქ. ლაგოდეხი

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებში საქმისწარმოების დოკუმენტების უნიფიცირებული ფორმებისა და ტაბელის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების განხორციელების შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებში საქმისწარმოების დოკუმენტების უნიფიცირებული ფორმებისა და ტაბელის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის №30 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/11/2017, 010250020.35.167.016321).

მუხლი 2

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებში საქმისწარმოების დოკუმენტების უნიფიცირებული ფორმებისა და ტაბელის“ მე-4 მუხლს

ა) დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა.ე“ , „ა.ვ“ და „ა.ზ“ ქვეპუნქტები:

„ა.ე) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის/მოადგილის ბრძანება;

ა.ვ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ბრძანება;

ა.ზ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – მერიის საჯარო მოხელის ბრძანება (მუნიციპალიტეტის მერის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში).“.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **კარლო ჯამბურია**